



## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N 19

2020 წელი 22 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2020 წლის 22 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა:** ნოდარ გიორგიძე ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მათა კბილაშვილი, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, ალექსი ლომინაშვილი, სიმონ ჭოლოკავა, მამუკა გორგოძე, შადიმან გორგოძე, ზაზა ზივზივაძე, გიორგი რობაქიძე, გია სახამბერიძე, გაბრიელ ღიბრაძე, მაკა მესხი, შალვა დათუაძე.

**საკრებულოს წევრები:** სულ 21 წევრი.

**არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები:** შალვა მშვილდაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, დიომიდე კიკნაველიძე ირაკლი გოგსაძე, ვლადიმერ წიქორიძე, თეონა ფახურიძე.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი  
საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოიძე.

საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტი ნათია ცისკაძე და საკრებულოს აპარატის იურისტი ირინე აბაიშვილი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა, დაესწრო 21 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარი გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც საკრებულოს წევრებს აცნობა იმის შესახებ, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსულია წერილობითი წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, საკითხი ეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს“. სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხი:

### დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:  
დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

**მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0**  
**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**ლერი გუმბერიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა** ბიუროს წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომელიც 2020 წლის ბოლოსათვის უნდა განხორციელდეს ბიუჯეტში.

**საკრებულოს წევრი შალვა დათუაძე** დაინტერესდა თუ რას უკავშირდებოდა უფასო სასადილოში ბენეფიციართა ხარჯების შემცირება, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო განმარტება გააკეთა.

**აზრი გამოთქვს:** შალვა მშვილდაძემ, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარი გიორგიძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს გააცნო გურამ კიკნაველიძემ, ამავე კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რო ცვლილება ძირითადად ეხება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სასურსათო პაკეტების შექმნისათვის თანხის გამოყოფას, სასურსათო პაკეტთან დაკავშირებით კომისიას ქონდა შენიშვნები, რაც გაზიარებული იქნა.

**საკრებულო ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 22 22.12.2020წ. (დადგენილება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**  
**მომხრე- 21 წინააღმდეგი - 0**  
**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

**სხდომის თავმჯდომარე:**

**ნოდარი გიორგიძე**